თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5000286

ნომერი: AR1752921

თარიღი : 08.06.2020

გაცემის თარიღი : 26.06.2020

გაცნობის თარიღი : 26.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტ.ტაბიძე , N 74;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ოვაშელი პ/ნ 01008040989
- თბილისი, ონიაშვილის #26

ორგანიზაცია:
- ამშენებელი კოდი: 405204504

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 08 ივნისს №AR1752921 განცხადებით მომართა დავით ოვაშელმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებაშიტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქუჩა №74-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.11.055.027), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 20 დეკემბრიდან2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლისგანმარტების თანახმად, სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებაშიშეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 20 დეკემბრიდან2020 წლის ნოემბრის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა„მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 20 დეკემბრიდან2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით“.

საპროექტოდოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 23 ნოემბრის №AR1646213 განცხადებაზეწარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, რომელზეც დაფიქსირებულია რომ სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა 12 თვე. ამასთან, აღნიშნულ გრაფიკზე განსხვავებული ფერით არის მონიშნული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაო. ამავე გრაფიკის მიხედვით, შესასრულებელი სამუშაო გადანაწილებულია 12 თვეზე. 2018 წლის 23 ნოემბრის №AR1646213 განცხადებაზე, ასევე, წარმოდგენილ იქნა საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზეც ასახულია ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებით სწორად განისაზღვრა მშენებლობის ვადა 12 თვით - 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის 20 დეკემბრისჩათვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებით სწორად იქნა განსაზღვრული მშენებლობის ვადა და იგი არ შეიცავს ტექნიკურ შეცდომას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს დავით ოვაშელის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის №4312772 ბრძანებაშიტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილებაშეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობითდადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდანერთი თვის ვადაში.